

პირის ნაცვალსახელები ქართულ ჟესტურ ენაში

მახარობლიძე თამარ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.33>

აბსტრაქტი. ჩემს წიგნში „ქართული ჟესტური ენა“ მე დეტალურად მომოვიხილე ამ ენაში არსებული ნაცვალსახელები (გვ. 244-288) და სისტემურად შევუპირისპირე ეს ფორმები ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ ფორმებს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ზოგადად ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ გვაქვს და ეს არის დეიქტიური ფორმები. მართლაც, თუ დავაკვირდებით ქართული ჟესტური ენის მონაცემებს, პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები მანუალური ან მზერითი მითითებითი ფორმებია. ეს ზოგადად არის საერთო მოცემულობა ჟესტური ენებისთვის. ენობრივი ლოგიკა აქ სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ ასევე მითითებითია სომატური ლექსიკაც არსებით სახელებში. თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ადგილი აქვს სხეულის ნაწილების მითითებას. ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მანუალური და არამანუალური ფორმებით. არამანუალური ფორმა ძირითადად მოიაზრებს შესაბამისი ჟესტის მიმიკურ ვერსიას. ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე იყოს მზერითი ჟესტი. აქედან გამომდინარე გვაქვს ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები: 1. მანუალური ფორმები, როდესაც პირის ნაცვალსახელები დეიქტიური ფორმებია; 2. მიმიკური ფორმები, როდესაც სახის მიმიკა გამოხატავს კონკრეტულ ნაცვალსახელს; 3. მზერითი ფორმები, როდესაც თვალის მიმსრთულება უჩვენებს კონკრეტულ პირს. ეს ფორმაც არის დეიქტიური თავის ბუნებით. ჩამოთვლილი სამი ვერსიიდან მათი კომბინაციებით ვიღებთ კიდევ შემდეგ ორწევრიან შესაძლებლობებს: 1. მანუალური და მიმიკურის კომბინაცია; 2. მანუალური და მზერითის კომბინაცია; 3. მზერითი და მიმიკურის კომბინაცია. ასევე შესაძლებელია სამწევრიანი კომბინაცია: მზერითი, მანუალური და მიმიკური ფორმების კომბინაცია.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, ნაცვალსახელი, მორფოლოგია, ჟესტური ენები.


2012 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ჟესტური ენა“ მე დეტალურად მომოვიხილე ამ ენაში არსებული ნაცვალსახელები (გვ. 244-288) და სისტემურად შევუპირისპირე ეს ფორმები ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ ფორმებს. უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ზოგადად ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ გვაქვს და ეს არის დეიქტიური ფორმები. მართლაც, თუ დავაკვირდებით ქართული ჟესტური ენის მონაცემებს, პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები მანუალური ან მზერითი მითითებითი ფორმებია. ეს ზოგადად არის საერთო მოცემულობა ჟესტური ენებისთვის. ენობრივი ლოგიკა აქ სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ ასევე მითითებითია სომატური ლექსიკაც არსებით სახელებში. თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ადგილი აქვს სხეულის ნაწილების მითითებას. ამრიგად, ამ ენებში ერთნაირად იქნება წარმოდგენილი ‘ფეხი’, ‘გული’, ‘მუხლი’, ‘თავი’, ‘თვალი’, ‘ცხვირი’, ‘პირი’ და ა.შ.



მე – აღნიშნავს მოლაპარაკეს

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს, ცხადია, მოსალოდნელი ფორმაა და თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ასე გამოიყურება. ამავე ტიპისაა მეორე დაა მესამე პირის ნაცვალსახელებიც. მესამე პირის ნაცვალსახელებს შეუძლიათ განასხვავონ სივრცის სამგანზომილებიანი მოდელი: ეს-ეგ-ის, როგორ ეს წარმოდგენილია ქართულ ენაში.



ამ /ეს – ნაცვალსახელი, მიუთითებს პირველ პირთან ახლო მყოფ საგანზე

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ეზ – პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელი (მეორე პირთან ახლოს მყოფი) ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ის – მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

საგულისხმოა, რომ ქართული ჟესტური ენა (მსგავსად სხვა მრავალი ჟესტური ენისა) არ განასხვავებს კლასის ან სქესის კატეგორიებს ნაცვალსახლებში. ამის ფონზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქართული ჟესტური ენა, როგორც სამგანზომილებიანი სისტემა, სივრცითი მარკირების ხაზგასმას ანიჭებს უპირატესობას.

ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მანუალური და არამანუალური ფორმებით. არამანუალური ფორმა ძირითადად მოიაზრებს შესაბამისი ჟესტის მიმიკურ ვერსიას. ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე იყოს მზერითი ჟესტი. აქედან გამომდინარე გვაქვს ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები:

1. მანუალური ფორმები, როდესაც პირის ნაცვალსახელები დეიქტიური ფორმებია;
2. მიმიკური ფორმები, როდესაც სახის მიმიკა გამოხატავს კონკრეტულ ნაცვალსახელს;
3. მზერითი ფორმები, როდესაც თვალის მიმსრთულება უჩვენებს კონკრეტულ პირს. ეს ფორმაც არის დეიქტიური თავის ბუნებით.

ამ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ვერსიიდან მათი კომბინაციებით ვიღებთ კიდევ შემდეგ ორწევრიან შესაძლებლობებს:

4. მანუალური და მიმიკურის კომბინაცია;
5. მანუალური და მზერითის კომბინაცია;
6. მზერითი და მიმიკურის კომბინაცია.

ასევე შესაძლებელია სამწევრიანი კომბინაციაც:

7. მზერითი, მანუალური და მიმიკური ფორმების კომბინაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, პრაგმატიკა თავისი კანონებით კარნახობს კონკრეტულ ვერსიებს. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ შედარებით ნაკლებია ბოლო სამწევრიანი კომბინაციის გამოყენება, ასევე ნაკლებია მანუალურის და მზერითის კომბინაციაც. ეს გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან: მზერითი აქტანტის წაროჩენა ხშირად ხდება კონკრეტული მოსაზრებებით, გარკვეული სახით აქტანტის დაფარვის მიზნით. მანუალური ფორმა კი თავისი დეიქტიური ბუნებით პირდაპირი მითითებაა კონკრეტულ აქტანტზე. ამ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომების გამო შედარებით ნაკლებად გამოიყენება ეს ორი ფორმა ერთობლივად.

საინტერესოა ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში. ეს ხშირად კომპოზიტიური ფორმებია:



ასეთი – როგორც ეს, ამგვარი, ამნაირი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ასე' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ხოლო მარცხენა – სხეულისკენ, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზურგით ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრეპტორიის მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზედ ადევს მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მსგავსების ნიშანი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები,


დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, განზე გაწეული ხელები ერთმანეთს უახლოვდება და ეხება საჩვენებელი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

საინტერესოდ გამოიყურება კუთვნილებითი ნაცვალსახელების სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში.



ჩემი – პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლოდობითი რიცხვისა, რაც მე მაქვს ან ვინც მე მყავს, რაც ან ვინც მეკუთვნის.


ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ჩვენ – პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი: რაც ჩვენ გვაქვს ან ვინც ჩვენ გვყავს, რაც ან ვინც ჩვენ გვეკუთვნის

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩემი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავლობითობის ნიშანი“ – წინ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


მეორე პირში უკვე ჩნდება ე.წ. „კუთვნილების ნიშანი“:



თქვენი – მეორე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული ზემოთ და სხეულისკენაა მიმართული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითები ზევით მიემართება, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს კუთვნილების ნიშანი სისტემურია მესამე პირის ფორმებთან:



იმათი – მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ის“ / „იგი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კუთვნილება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟესტურ ენებს აქვთ გარკვეული თავისებურება ნაცვალსახელების გამოყენებისას, კერძოდ, იგულისხმება პირობითი ადგილის მინიჭება. ყრუ პირები კომუნიკაციისას მესამე პირზე საუბრის შემთხვევაში (როდესაც ეს მესამე პირი არ იმყოფება საკომუნიკაციო სივრცესთან) ამ პირს მიანიჭებენ პირობით ადგილს და შემდეგ საუბარში ამ პირის მოხსენიება ხდება მისთვის მინიჭებული სივრცით, ანუ მითითება ხდება იმ ადგილზე, სადაც პირობითად განისაზღვრა ამ პირის არსებობა. ქართული ჟესტური ენა ამ ხერხს შედარებით ნაკლებად იყენებს. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა თავისუფალი

ნარატივების ვიდეო კრებული, რომელიც მოიცავს დაახლოებით 5 საათამდე მასალას. ვიდეოები შესრულებულია ეთიკის საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. მასალაში წარმოდგენილია თბილისის ყრუთა თემის სხვადასხვა ასაკისა და სქესის ყრუთა ოჯახებში დაბადებული და გაზრდილი ადამიანების ჟესტური კომუნიკაციის ნიმუშები.

ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2024) ლინგვისტური წერილები - VI. წიგნის ფაბრიკა. თბილისი. 268 გვ.
- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.\
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- Boyes Braem, P., & Sutton-Spence, R. (Eds.). (2001). *The hands are the head of the mouth: The mouth as articulator in sign languages*. Hamburg: Signum.
- Carmel, S. J. (1992). A checklist of dictionaries of national sign languages of Deaf people. *Sign Language Studies*, 76(3), 233–252.
- Cormier Kearsy, Schembri Adam, Woll Bencie (20013) pronouns and pointing in Sign languages. *Lingua*. Vol. 137. December 2013 Pp.230-247
- Emmorey K. (2003) Sign Language Lexicography. DOI: [10.1007/978-3-642-45369-4_34-1](https://doi.org/10.1007/978-3-642-45369-4_34-1) In book: *International handbook of modern lexis and lexicography*. Chapter: Online at: http://link.springer.com/10.1007/978-3-642-45369-4_34-1. Publisher: Springer
- Frederiksen [Anne Therese](#) & [Mayberry](#) Rachel I. (2020) Pronoun production and comprehension in American Sign Language: the interaction of space, grammar, and semantics. Pp. 80-102
- Johnston, T. A., & Schembri, A. (1999). On defining lexeme in a signed language. *Sign Language & Linguistics*, 2(2), 115–185.
- Kristoffersen, J. H., & Troelsgård, T. (2012). The electronic lexicographical treatment of sign languages: The Danish Sign Language Dictionary. In S. Granger & M. Paquot (Eds.), *Electronic Lexicography (1st ed., pp. 293–318)*. Oxford: Oxford University Press
- Stokoe, W. C. (1960/2005). Sign language structure: an outline of the visual communication systems of the American deaf. *Reprinted in Journal of Deaf Studies and Deaf Education*, 10, 3–37.

Personal pronouns in Georgian Sign Language

Makharoblidze Tamar
Ilia State University, Tbilisi

Abstract

In my book “Georgian Sign Language,” I reviewed in detail the pronouns in this language (pp. 244-288) and systematically contrasted these forms with those in spoken Georgian. It is important to note that there is an opinion according to which, in general, we do not have pronouns in sign languages, and these are deictic forms. Indeed, if we look at the data of Georgian Sign Language - GESL, the first, second, and third person pronouns are deictic forms and not the proper lexical signs. This is generally a common occurrence for sign languages. The linguistic logic here is quite clear. It is worth noting that somatic vocabulary in nouns is also referential or pointing. Almost all sign languages have a way of pointing body parts. Thus, in these languages, ‘foot’, ‘heart’, ‘knee’, ‘head’, ‘eye’, ‘nose’, ‘mouth’, etc. will be represented in the same way.

It is noteworthy that GESL (like many other sign languages) does not distinguish between class or gender categories in pronouns. Against this background, it is important to note that

GESL, as a three-dimensional system, prioritizes the emphasis on spatial marking. Pronouns in sign languages can be represented in manual and non-manual forms. The non-manual form usually refers to the mimic version of the corresponding sign. In the case of pronouns, this can also be a gaze. Thus, we have the following forms of pronouns:

1. Manual forms, when the personal pronouns are deictic forms;
2. Mimic forms, when facial expressions express a particular pronoun;
3. Forms with gaze, when the gaze indicates a specific person. This form is also deictic in nature.

From the three versions listed above, by their combinations, we obtain the following two-member possibilities:

5. A combination of manual and gaze;
6. A combination of gaze and mimic.

A three-membered combination is also possible:

7. A combination of gaze, manual and mimic forms.

Based on the GESL data, it should be said that the last three-member combination is used relatively less, neither the combination of manual and gaze is frequent in GESL.

Keywords: Georgian sign language, GESL, pronouns, morphology, sign languages.